ხელშეკრულება № 15/2018

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 25 ივნისი 2018 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - სსიპ ქ. თბილისის N84 საჯარო სკოლა (ს/კ: 206 031 667) (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მანანა ბაციკაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს წიგნი+ერი (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მზია რაზმაძეს სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია წიგნების შეძენა .

1.2. (CPV:22100000 - 296,50 ლარი)

შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 296,50 (ორასოთხმოცდათექვსმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით. (სახელმწიფო ბიუჯეტიდან).

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 15(თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, წურწუმიას N17

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

5.6. ხელის მომწერი პირები ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

6.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0.02 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

6.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში დაგვიანებით მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულების 0.02 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

6.4. ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის/მომსახურების ღირებულების 10.0 პროცენტის ოდენობით.

6.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის 20.0 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ ქ. თბილისის N84 საჯარო სკოლა ს/კ 206 031 667 მის: ქ. თბილისი, წურწუმიას N17 დირექტორი: _______________ (ხელმოწერა) ბ.ა	მიმწოდებელი: შპს წიგნი+ერი ს/კ 400042814 მის.: ქ.თბილისი ა. ემუხვარის N5 ტელ.: 571 13 12 11 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,პროკრედიტ ბანკი“ ბანკის კოდი MIBGG22 ა/ა GE32PC0503600100002881 დირექტორი: მზია რაზმაძე _______________ (ხელმოწერა) ბ.ა

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	წიგნი ჩვენი ღირსებანი ტომი 1	ცალი	1	15,50	15,50
2	წიგნი ჩვენი ღირსებანი ტომი 3	ცალი	1	15,50	15,50
3	წიგნი ჩვენი ღირსებანი ტომი 4	ცალი	1	15,50	15,50
4	წიგნი ჩვენი ღირსებანი ტომი 5	ცალი	1	15,50	15,50
5	წიგნი ჩვენი ღირსებანი ტომი 6	ცალი	1	15,50	15,50
6	წიგნი ჩვენი ღირსებანი ტომი 7	ცალი	1	15,50	15,50
7	წიგნი ჩვენი ღირსებანი ტომი 8	ცალი	1	15,50	15,50
8	წიგნი ჩვენი ღირსებანი ტომი 9	ცალი	1	15,50	15,50
9	წიგნი ჩვენი ღირსებანი ტომი 10	ცალი	1	15,50	15,50
10	წიგნი „ვაჟა-ფშაველას მოთხრობები“	ცალი	1	20,00	20,00
11	დინამიური საუბრის ხელოვნება	ცალი	1	14,00	14,00
12	მშობლებისთვის და არა მხოლოდ	ცალი	1	30,00	30,00
13	ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელნი - 1 და 2 ტომი	ცალი	1	18,00	18,00
14	საოცარი ფაქტები	ცალი	1	17,00	17,00
15	ენციკლოპედია ყველაფრის შესახებ	ცალი	1	18,00	18,00
16	დედიკოს ბიჭი თუ სუპერმენი	ცალი	1	8,00	8,00
17	ასე სწავლობენ ბავშვები ლაპარაკს	ცალი	1	7,00	7,00
18	სასკოლო ლიტერატურულ-ენციკლოპედიური ლექსიკონი-ცნობარი	ცალი	1	25,00	25,00
სულ ღირებულება					296,50

სსიპ ქ. თბილისის N84 საჯარო
სკოლის დირექტორი /მ. ბაცაკაძე/

შპს „წიგნი+ერი“-ის დირექტორი /მზია რაზმაძე /